ქართულ–აფხაზური ახალგაზრდული დიალოგი 2008-2012 წლებში

გრიგოლ ჭკადუა

სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტზე საერთაშორისო ურთიერთობების მაგისტრის აკადემიური ხარისხის მინიჭების მოთხოვნების შესაბამისად

პროგრამა:პოლიტიკის მეცნიერება (საერთაშორისო ურთიერთობები, ევროპისმცოდნეობა, კავკასიისკვლევები, საბჭოთაკვლევები, პოლიტიკისანთროპოლოგია)

მიმართულება: საერთაშორისო ურთიერთობები

სამეცნიერო ხელმძღვანელი:დავით აფრასიძე

პოლიტიკის მეცნიერებების სრული პროფესორი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2014

სარჩევი

აბსტრაქტი..... 3

შესავალი.....5

ლიტერატურის მიმოხილვა..... 8

კვლევის მეთოდოლოგია.....11

კვლევის შედეგები და შედეგების მნიშვნელობა.....12

თავი 1

1.1 ახალგაზრდული დიალოგი2008 – 2010 წლებში.....13

თავი 2

2.1 ახალგაზრდული დიალოგი 2010 – 2012 წლებში..... 19

დასკვნა..... 24

გამოყენებული ლიტერატურა.....30

დანართი..... 33

აბსტრაქტი

წინამდებარე სამაგისტრონაშრომიეხებაქართულ-აფხაზურიახალგაზრდული დიალოგის პროცესს2008წლის აგვისტოს ომიდან2012 წლის ივლისის ჩათვლით. ნაშრომის კვლევისსფერომოიცავს2008 წლიდან 2012 წლის ჩათვლით ახალგაზრდული დიალოგის პროცესის აღწერა, მასში მონაწილე მხარეების პოზიციების გაანალიზებას დიალოგის მნიშვნელობის ანალიზს და მის წვლილს ქართულ–აფხაზური კონფლიქტის მოგვარებაში.

ამ თემაზე მუშაობისას განგებ იქნაშერჩეული 2008-2012 წლები და ამ პერიოდში განხორციელებული დიალოგის პროცესები რადგან, აგვისტოს ომის შემდეგ კავკასიაში და კერძოდ საქართველოში როგორც პოლიტიკური ელიტის, ისე სამოქალაქო საზოგადოების მხირდან აქტიურად დაიწყო კონფლიქტების თემატიკით ინტერესის ზრდა. მიუხედავად იმისა, რომ ქართულ–აფხაზური ახალგაზრდული პროექტები 2008 წლის აგვისტომდეც სხვადასხვა ფორმით და სხვადასხვა ორგანიზაციების მეშვეობით იმართებოდა, 2008 წლის აგვისტოს ომის შემდეგ მკვეთრად გაიზარდა ახალგაზრდების ჩართულობა ქართულ–აფხაზური ახალგაზრდული დიალოგის პროცესში.

ნაშრომზე მუშაობისას დამუშავებულ იქნაქართულ-აფხაზურ კონფლიქტში ახალგაზრდების მონაწილეობის შესახებ და ახალგაზრდული დიალოგების შესახებარსებულისამეცნიეროლიტერატურა, საგაზეთო სტატიები,საისტორიოწყაროები, საერთაშორისო ურთიეთობების მკვლევართა და ექსპერტთა სტატიები, ანალიზები, სამთავრობო დოკუმენტები, საქართველოს პარლამენტის დადგენილებები, სამთავრობო სტრუქტურების განცხადებები, სხვადასხვა სამეცნიერო ნაშრომები, ქართული და უცხოური საერთაშორისო ორგანიზაციების ანალიტიკური ნაშრომები, პუბლიკაციები დაინტერნეტრესურსები. აგრეთვე გაანალიზდა ის ინფორმაცია, რომელიცმოპოვებულიიქნა დიალოგის პროცესში ჩართული ქართველი და აფხაზი ახალგაზრდების, პროექტის კოორდინატორებისა და ავტორებისგან აღებული ინტერვიუებისას.

მოპოვებული ინფორმაციისანალიზის, მათიურთიერთშეჯერებისსაფუძველზეშევეცდებიწარმოგიდგინოთქართულ-აფხაზურიახალგაზრდული დიალოგისმნიშვნელოვანიასპექტები.